

## ინოვაციები განათლების სისტემაში და მასთან დაკავშირებული გამოწვევები

ნანა ლუხუტაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,  
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
Nana.lukhutashvili@unik.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** განათლების სისტემა; ინოვაციური ტენდენციები; ინტერნეტ-ტექნოლოგიები; კომპიუტერული სწავლების პროგრამები.

**J.E.L. classification:** O3, I25

**DOI:** <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.07>

**ციტირებისთვის:** ლუხუტაშვილი ნ., (2023) ინოვაციები განათლების სისტემაში და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. ეკონომიკური პროფილი. ტ. 18, 2(26), გვ. 43-49. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.07>

**ანოტაცია.** სტატიაში გაანალიზებულია საქართველოს განათლების სისტემაში 1990-იანი წლებიდან მოყოლებული განხორციელებული ინოვაციური პროცესები, ამ სისტემაში არსებული წინააღმდეგობები, სამომავლო უნივერსიტეტების განვითარების უმნიშვნელოვანესი პრინციპები, ინოვაციური ტენდენციებისა და ტექნოლოგიების ის ძირითად ტიპები, რომლებიც აქტიურად ინერგება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესებში. ნაშრომი ასევე განიხილავს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ტექნოლოგიების ეფექტიანად არჩევისა და გამოყენების ძირითადი პრინციპებს და ინოვაციური პროცესების რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული იმ პრობლემებზე, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს.

**შესავალი.** განათლების სფერო ოდითგანვე წარმოადგენდა და წარმოადგენს ერთ-ერთ ინოვაციურ დარგს, რომელიც ფაქტობრივად განსაზღვრავს თითქმის ყველა სხვა დარგის ინოვაციურ საქმიანობას, ქმნის ინოვაციურ კლიმატსა და კონკურენტულ გარემოს ეკონომიკაში. სხვა სიტყვებით, ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ინოვაციური პროცესების ხასიათი, სიჩქარე და ეფექტიანობა არსებითად არის დამოკიდებული განათლების სისტემის გამარ-

თულობაზე, მასში ინოვაციური საქმიანობის ხასიათსა და ეფექტიანობაზე, მის ხელმისაწვდომობაზე, განათლებისა და მეცნიერების ინტეგრირების ხარისხზე, თანამედროვე ტექნოლოგიების სასწავლო და კვლევით პროცესში გამოყენების შესაძლებლობების განვითარებაზე და ა.შ.

### ძირითადი ნაწილი

განათლების სისტემაში ინოვაციები უნდა მიეკუთვნებოდეს ოთხი სფეროდან რომელიმეს. ესენია: აღზრდა; სწავლება; მართვა და კადრების გადამზადება. სასურველია საქართველოში ინოვაციები განათლების სფეროში ინერგებოდეს ზემოჩამოთვლილი ოთხივე მიმართულებით და მათი ეფექტიანობის შესამოწმებლად არ უნდა შეეუშინდეთ მასთან დაკავშირებულ რისკებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს განათლების სისტემა დიდი ხნით ჩარჩება სწავლებისა და აღზრდის არაეფექტურ მოდელში, რაც გამოიწვევს მოზარდი თაობის ინტერესების შესუსტებას საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებისადმი და ასევე თანამედროვე ახალგაზრდობის განვითარების, აღზრდისა და განსწავლულობის ხარისხის დაცემას

(გაუარესებას).

მსოფლიოში შეინიშნება სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების კონტინენტური, რეგიონთაშორისი და სახელმწიფო მნიშვნელობის სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეგაპოლისებში ინტეგრაციისაკენ სწრაფვა. სხვადასხვა ქვეყანაში ხდება უნივერსიტეტებისა და სამრეწველო კომპლექსების გაერთიანება, რაც წარმოადგენს თანამედროვე სამრეწველო საწარმოების ერთგვარ ბაზას სამეცნიერო გამოგონებებისა და საუკეთესო, უნიკალური სპეციალისტების მოსამზადებლად. შესაბამისად, სამამულო უნივერსიტეტების განვითარების უმნიშვნელოვანეს პრინციპები უნდა გახდეს:

- მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი სპეციალისტების მომზადების პროცესში;
- მჭიდრო თანმიმდევრული კავშირი განათლების დონეებს შორის;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების მაღალი კორპორაციული სული;
- აღზრდის მოქალაქეობრივობა;
- ქვეყანაში პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკური პირობების მიუხედავად, საუნივერსიტეტო ცხოვრების ინტელიგენტურობა და მაღალი სულიერება.

ფაქტობრივად, ეს პრინციპები უნდა იყოს ყველა უნივერსიტეტის მისიისა და განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითადი პოსტულატები.

საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმა სამამულო უმაღლეს სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და ახალ, მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში შესვლასთან დაკავშირებულ სიახლეებს შორის ოპტიმალური შესაბამისობის ძიებით ხასიათდება.

ჩვენი აზრით, საუნივერსიტეტო განათლებაში შეიმჩნევა რიგი ინოვაციური ტენ-

დენციები:

1. მრავალდონიანი სისტემის განვითარება საქართველოს ბევრ უნივერსიტეტში. ამ სისტემის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი უზრუნველყოფს სწავლების ტემპებსა და მომავალი სპეციალობის შერჩევაში უფრო ფართო მობილობას. ის კურსდამთავრებულს უყალიბებს უნარს საუნივერსიტეტო განათლების ბაზაზე აითვისოს ახალი სპეციალობები;
2. უმაღლეს სასწავლებელთა აღჭურვა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიებით, მისი ფართოდ ჩართვა ინტერნეტ-სივრცეში და სტუდენტთა დისტანციური სწავლების ფორმის განვითარება;
3. უმაღლესი განათლების უნივერსიტეტიზაცია და მისი ინტეგრაციის პროცესი ქვეყნის ან მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, რასაც საუნივერსიტეტო კომპლექსის ჩამოყალიბებამდე მივყავართ;
4. უმაღლესი სასწავლებლების ჩართვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში, მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

ჩვენი ქვეყნის ისტორიულმა ტრადიციებმა დიდი გავლენა მოახდინა უმაღლესი სკოლის განვითარებაზე. უნივერსიტეტი სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სასაწავლო საქმიანობის ცენტრია, რომელსაც გააჩნია ზოგადკულტურული მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის.

საქართველოს ისტორიაში უნივერსიტეტი იყო მეცნიერებათა აკადემიასა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის დამაკავშირებელი რგოლი. საქართველოს უნივერსიტეტებში მუშაობენ პროფესორები, რომლებიც იმავდროულად არიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სხვადასხვა დარგობრივ მეცნიერებათა აკადემიის წევრები და წევრკორესპოდენტები. ტრადიციულად, საქარ-

თველოს უნივერსიტეტები ფლობენ სამამულო სამეცნიერო და საკადრო პოტენციალს და ხელს უწყობენ საზღვარგარეთულ უნივერსიტეტებთან კულტურულ და სამეცნიერო სფეროში ურთიერთანამშრომლობასა და გაცვლას.

მძლავრმა ინოვაციურმა პროცესებმა მოიცვა საქართველოს განათლების სისტემა 1990-იანი წლებიდან. განათლების სისტემაში ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს:

- კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნა. 1991 წლამდე საქართველოში მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არსებობდა. 1991 წლიდან კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებსაც მიეცათ ფუნქციონირების უფლება.
- უმაღლესი განათლების უფასო სწავლების სისტემაზე უარის თქმა. ამ გადაწყვეტილებამ კარდინალური გავლენა იქონია განათლების სისტემაზე მთლიანობაში, შეცვალა შინაგანი კავშირები, სუბიექტები და მათი დამოკიდებულება ობიექტებისადმი. 2004 წელს უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სისტემა საქართველოში არსებითად შეიცვალა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსების ჩანაცვლებას სტუდენტზე მიბმული დაფინანსებით. (ჩახაია, 2013:8)
- საქართველოს ჩართვა ბოლონიის პროცესში. ევროპის 29 ქვეყნის უმაღლესი განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას. ამჟამად, ბოლონიის პროცესში ჩართულია ევროპის 47 ქვეყანა. საქართველო აღნიშნულ პროცესს შეუერთ-

და 2005 წელს, ბერგენის სამიტზე (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

- ადრე არსებული ერთიანი და ერთგვარი სკოლების ნაცვლად გიმნაზიების, ლიცეუმების, კოლეჯების, სხვადასხვა პროფილისა და მიმართულების სკოლების, პროფესიული სასწავლებლებისა და სპეციალიზირებული (სამხედრო, საზღვაო, საავიაციო, ხელოვნების) სასწავლო უნივერსიტეტების დაარსება.

ამჟამად, განათლების სისტემაში ინოვაცია აღიქმება, როგორც სწავლების შედეგების ეფექტიანობის ამაღლება. გარკვეულწილად ახალი დასაწყისი ხშირად აღიქმება უარყოფითად, რასაც თან სდევს ორგანიზაციაში გაუგებრობები და კონფლიქტები.

საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ამჟამად არსებული წინააღმდეგობებიდან, შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- სწავლების სტანდარტებსა და სტუდენტთა ინდივიდუალურ ინტერესებსა და შესაძლებლობებს შორის წინააღმდეგობა;
- შემეცნების მხრივ მეცნიერების ტემპების ზრდასა და სტუდენტთა რეალურ შესაძლებლობებს შორის წინააღმდეგობა;
- ერთი მხრივ სპეციალობის შესწავლისაკენ სწრაფვასა და მეორე მხრივ, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას შორის წინააღმდეგობა.

სხვადასხვა ინოვაციების დანერგვისა და ტექნოლოგიების დახვეწის მცდელობა განათლების სფეროში უწყვეტად მიმდინარეობს. საქართველოში საგანმანათლებლო სისტემაც უწყვეტად ვითარდება და მისთვის დამახასიათებელია მუდმივი განახლება და თვითგანვითარება.

უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანიზაციების ინოვაციური პოტენციალის მართვის მთავარ განსაკუთრებულობას წარმო-

ადგენს ის, რომ ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენებას თან სდევს რადიკალური ცვლილებები პედაგოგიურ მეთოდებსა და ხერხებში; პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შრომის ურთიერთობაში; ეკონომიკურ მექანიზმებსა და თანამედროვე განათლების თეორიასა და პრაქტიკაშიც კი. ტექნოლოგიების ძირითად ტიპებს, რომლებიც აქტიურად ინერგება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესებში და რომელთა გამოყენება სწავლების მიზნით სულ უფრო და უფრო ფართოვდება, მიეკუთვნება: ინტერნეტ-ტექნოლოგიები, ელექტრონული ფოსტის ტექნოლოგიები, კომპიუტერული სწავლების პროგრამები, Web-ტექნოლოგიები, ელექტრონული დეკანატები და ა.შ.

განათლების სფეროში ტექნოლოგიური ინოვაციების სწრაფი განვითარებისას თავს იჩენს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა ტექნოლოგიის არჩევა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად (Абрамешин и др., 2001:119). ინოვაციებზე ორიენტირებულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ტექნოლოგიების ეფექტიანად არჩევისა და გამოყენების ძირითადი პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

- სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია არა იმდენად ინფორმაციული ტექნოლოგიები, არამედ ამ ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის საქმეში;
- ზოგჯერ, უფრო ძვირადღირებული და ურთულესი ტექნოლოგიები ვერ უზრუნველყოფენ საუკეთესო საგანმანათლებლო შედეგს. პირიქით, ხშირად უფრო ეფექტურს წარმოადგენს მარტივი და არაძვირადღირებული ტექნოლოგიები;
- ტექნოლოგიების არჩევისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ზოგიერთი ტექნოლოგიის შესატყვისობა კონ-

კრეტულ საგნებთან, სასწავლო დავალებებისა და მაგალითების ტიპთან, თვით შემსწავლელის ხასიათის თვისებებთან;

- ტექნოლოგიების არჩევისას უფრო ეფექტიანია მულტიმედიური მიდგომა, რომელის დროსაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებით სხვადასხვა ტექნოლოგიები, რაც გავაძლევს სინერგეტიკულ ეფექტს.

პროფესორ-მასწავლებელთა საქმიანობაში ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენება უკავშირდება:

- სასწავლო კურსების შექმნასთან დაკავშირებული საქმიანობის გართულებას;
- სპეციალური უნარ-ჩვევებისა და პედაგოგიური მუშაობის ხერხების ცოდნას სასწავლო კურსების დასამუშავებლად;
- ღია წვდომის გამო შემუშავებული სასწავლო მასალების ხარისხისადმი მოთხოვნების გაძლიერებას; სასწავლო მასალების ხარისხისადმი კონტროლის გაძლიერებას;
- სასწავლო პროცესში პროფესორ-მასწავლებლიდან სტუდენტისაკენ სიმძიმის ცენტრის გადანაცვლებასა და შემსწავლელის (ფასილიტატორის) როლის ზრდას;
- სტუდენტის მხარდაჭერის ფუნქციის გაძლიერებას, ინდივიდუალური სასწავლო პროცესის ორგანიზებაში დახმარების გაწევას;
- ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით პროფესორ-მასწავლებელსა და კონკრეტულ შემსწავლელს შორის უკუკავშირის გაძლიერებას.

თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების გამოყენებით უმაღლესი განათლების სფეროში ხდება სასწავლო პროცესში პროფესორ-მასწავლებლის ადგილისა და როლის, მისი ძირითადი ფუნქციების, პედაგოგიკასთან



დაკავშირებული საქმიანობის არსებითი ცვლილებები. თუმცა, ყველა ინოვაციური პროცესების რეალიზაცია უმაღლესი განათლების სისტემაში უკავშირდება მთელ რიგ პრობლემებს. მათ შორის აუცილებელია აღინიშნოს:

- საჭირო ოდენობით ფინანსების არარსებობა;
- ხშირად მართვის უმაღლესი ორგანოების არაკომპეტენტურობა;
- უმაღლესი სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებისადმი უყურადღებობა;
- კომპიუტერული ტექნიკითა და ელექტრონული საშუალებებით უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების არასაკმარისად აღჭურვა (ზოგიერთ სასწავლებელში არ არის სტაბილური ინტერნეტი, არასაკმარისია ელექტრონული მოწყობილობები, მეთოდური რეკომენდაციები პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად);
- უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა კონსერვატიზმი;
- უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა არასაკმარისი კვალიფიკაცია საინფორმაციო კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში.

#### დასკვნა

თანამედროვე განათლების სისტემაში ინოვაციებისაგან თავის არიდების ძირითადი მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს იქმნება ცოცხალი შრომის ძირითადი საშუალებებით ჩანაცვლებით საფრთხე. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ტექნო-

ლოგიები ძირითად გავლენას ახდენენ არა იმდენად სამუშაო ადგილების რაოდენობაზე, რამდენადაც შრომის ხარისხის (იცვლება მისი ორგანიზაცია, შინაარსი და მომუშავეის კვალიფიკაციისადმი მოთხოვნები) მოთხოვნაზე. მეტიც, ინოვაციური პოტენციალის მართვა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს თანამშრომელთა შემოქმედებით საქმიანობას და ორგანიზაციისათვის სასურველი შედეგების მიღწევის მოტივაციას.

ინოვაციური საქმიანობის განვითარება უმაღლეს სასწავლებლებში არ უნდა იყოს მხოლოდ უნივერსიტეტების ადმინისტრაციის ზეწოლის შედეგი. უპირველეს ყოვლისა, ორიენტაცია უნდა გაკეთდეს ამ საქმიანობისათვის მოტივირების სისტემის ფორმირებაზე.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. საქართველოს კანონი „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ (<https://www.matsne.gov.ge/ka>)
2. ჩახაია, ლ. (2013) უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა. თბილისი, გვ. 8
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბოლონიის პროცესი <https://mes.gov.ge/index.php?lang=geo>
4. Абрамешин А.Е., Воронина Т.П., Молчанова О.П., Тихонова Е.А., Шленов Ю.В., Инновационный менеджмент: Учебник для вузов Под редакцией д-ра экон. наук, проф. О.П. Молчановой. / - М.: Вита-Пресс, 2001. - 272 с.

## INNOVATIONS IN THE EDUCATION SYSTEM AND RELATED TO IT PROBLEMS

**Nana Lukhutashvili**

Associate Professor of Akaki Tsereteli State University,

Associate Professor of Kutaisi University

Nana.lukhutashvili@unik.edu.ge

**KEY WORDS:** *System of education; innovative trends; Internet technologies; Computer training programs.*

**J.E.L. classification:** O3, I25

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.07>

**For citation:** Lukhutashvili N., (2023) Innovations in the education system and related to it problems (in Georgian). Economic Profile, Vol. 18, 2(26), p. 43-49. DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2023.26.07>

### Summary

The field of education has always represented and represents one of the innovative sectors of the economy, which literally determines the innovative activities of almost all other sectors, creates an innovative climate and a competitive environment in the country's economy. Introduction of changes (innovations) in the education system can be associated with:

- the improvement of the goal of the education system, teaching/learning methods, the form of organization and management system;
- the style of teaching activities and organizing the teaching-cognitive process;
- the knowledge monitoring system and the assessment of education level;
- the funding system;
- educational and methodological support;
- educational activities;
- the improvement of educational curricula;
- the activities of teachers and students.

In general, the essence of innovation in education consists in searching for new approaches of young generation to education and to its successful application. The basic types of the technologies, which are being actively introduced in the universities educational processes, and the application of which for teaching purposes, are being increasingly extended, include: Internet technologies; electronic mail technologies; computer education programs; Web-technologies; the Dean's electronic offices; e-learning, the mirror teaching methods and so on. In addition, focus should be shifted from problems relating to the implementation of technological changes in higher schools to those ones, which are directly related to the expected behaviors of teaching staff in higher education institutions. These problems include:

- **Creativity barrier.** Members of the teaching staff, who are accustomed to working with the old

programs, have no desire to make a difference, conduct training, take exams, develop, much less to spent money on all this. Mostly, they are hostile to all novelties in the educational system;

- **Conformism.** Lack of desire for development, the fear of looking out of place and ridiculous. Members of the teaching staff often refused to make the unusual educational decisions;
- **Trait anxiety.** Due to self-doubt, a lack of confidence in their own abilities, low self-esteem and because of fear in expressing their own views, some members of teaching staff are opposed to any change;
- **Rigidity of thinking.** Members of teaching staff holding rigidity to past positions feel that their views are the only right solution, which they see as irreversible. They are not eager to acquire new knowledge and skills.

The main reason for evasion of innovations in the modern education system consists in fact that with the appearance of new technologies and new devices, the question arises as to whether these means will replace living labor. However, we should remember that these technologies mainly impact not on the number of jobs, but on the quality requirement of labor.

For the support and development of innovative activities, the administration of the higher education institution should, first of all, take the formation of the motivation system for this activity as an orientation. Their task is to see these motives and use its possibilities to achieve the desired goals.

### References:

1. The Legislative Herald of Georgia. Law of Georgia "On Licensing the Activities of Educational and Educational Institutions" (<https://www.matsne.gov.ge>);
2. Chakhaia, L. (2013) Financing and financial management of higher education and research. Tbilisi, p. 8.

3. Ministry of Education and Science. Bologna process <https://mes.gov.ge/index.php?lang=geo>
4. Абрамешин А.Е., Воронина Т.П., Молчанова О.П., Тихонова Е.А., Шленов Ю.В.,  
Инновационный менеджмент: Учебник для вузов Под редакцией д-ра экон. наук, проф. О.П. Молчановой. / - М.: Вита-Пресс, 2001. - 272 с.